



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ- ქუთაისის აკაკი წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
16.02.2018-23.02.2018  
დასკვნის წარდგენის თარიღი

29.03.2018

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

|                                                                              |                                                                                        |
|------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტში<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                           | 212693049                                                                              |
| დაწესებულების სახე                                                           | უნივერსიტეტი                                                                           |

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|                                                             |                              |
|-------------------------------------------------------------|------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                        | აგრონომია                    |
| განათლების საფეხური                                         | დოქტორანტურა                 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მიითითებით | აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი |
| სწავლების ენა                                               | ქართული                      |
| კრედიტების რაოდენობა                                        | 180                          |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)      | აკრედიტებული                 |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|                                                          |                                                               |
|----------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ცოტნე სამადაშვილი, ა(აიპ)საქართველოს<br>აგრარული უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | გაგა ბუიშვილი                                                 |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | ირმა მახარაძე                                                 |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                               |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                               |

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველო უძველესი დროიდან მიწათმოქმედების ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალმა დონემ მოიყვანა ქვეყანა დღემდე. ქართველი გლეხი ყოველთვის გამოირჩეოდა მიწათმოქმედების მაღალი ცოდნით. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძე ქართველ გლეხს „ინტელიგენტ გლეხს უწოდებდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ სოფლის მეურნეობას კრიზისის პერიოდი დაუდგა. მიწის არარაციონალური გამოყენების გამო მკვეთრად დაეცა ნიადაგის ნაყოფიერება, შემცირდა მოსავლიანობა და ფერმერმა დაკარგა ინტერესი სოფლის მეურნეობაზე. ამას დაემატა კლიმატის გლობალური ცვლილებები, გაიზარდა გარემოს დაბინძურების ფონი და აუცილებელი გახდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დაძლიონ არსებული წინააღმდეგობა და მიიღონ მაღალი და მყარი მოსავალი. ამას ემატება ის პრობლემაც, რომ საქართველო მრავალკულტურიანი ქვეყანაა და რეგიონები მკვეთრად განსხვავებული კულტურებითაა წარმოდგენილი. ამ მხრივ აგრონომიის პროგრამა ემსახურება სუბტროპიკული კულტურების განვითარებას, რომელზედაც წლების განმავლობაში მუშაობდა სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი და ეს ტრადიცია შესანიშნავად გააგრძელა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიულმა ფაკულტეტმა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებენ: აგრონომიის დარგის უახლესი ტექნოლოგიების დაუფლებას, მცენარეთა მოვლა-მოყვანის ბიოლოგიურ თავისებურებების შესწავლას, ნიადაგური პირობების გაუმჯობესებას, ექტრემალურ პირობებში კულტურების აღდგენა-რეკულტივაციას, ახალი ჯიშების გამოყვანას და წარმოებაში დანერგვას, ბიოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის წარმოებას. პროგრამის ყველა მოდული - აგროეკოლოგია, აგროტექნოლოგია, მცენარეთა დაცვა, მცენარეთა სელექცია, საბაღე და საპარკე მეურნეობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია“ მეტად აქტუალური და თანამედროვეა.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას შეხვედრები გვქონდა პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა პირთან.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრისას გაიმართა გულახდილი საუბარი. მათ აღნიშნეს, რომ ყავთ 10 აქტიური სტუდენტი, 10 სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული. აღნიშნეს, რომ სუბტროპიკული მეურნეობების ხაზით ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, როგორც უნივერსიტეტისთვის, ისე ქვეყნისთვის. საუბარი იყო, რომ სპეციალისტების დაბერება ხდება და საჭიროა გაახალგაზრდავება. მათ კავშირი აქვთ აჭარის ინსტიტუტთან, ბოტანიკურ ბაღთან. დოქტორანტებს აქვთ ფინანსური მხარდაჭერა კვლევების ჩასატარებლად, შრომების გამოსაქვეყნებლად, კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან საცდელი ზაზებით და მათი გადაყვანა ხდება ტრანსპორტით, სადაც შეუძლიათ პრაქტიკული ჩვევების ათვისება. მათ აღნიშნეს, რომ მზად არიან პროგრამა გახადონ სიცოცხლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი.

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ისინი სამართლებრივი მემკვიდრეები არიან სუბტროპიკული მეურნეის უნივერსიტეტის. თვითონ მონაწილეობდნენ მოდულების ჩამოყალიბებასა და პროგრამის შედგენაში. აღნიშნეს, რომ ჩატარდა ჩეხური ორგანიზაციის კვლევა, სადაც გამოვლინდა, რომ ეს დარგები ძალიან მოთხოვნილია. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაღე-საპარკე მიმართულება, რომელიც ამზადებს მებაღე დეკორატორებს და ლანდშაფტის სპეციალისტებს. მათზე მოთხოვნა დიდია. როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ სპეციალობაზე ისეთი მოთხოვნაა, რომ

ხშირად მსურველებს უარს ეუბნებიან. რესურსები საკმაოდ დიდია და ძებნა არ უხდებათ. აქვთ სავსე ბაზები, ლაბორატორიები და ახალი აღჭურვილობა, რომელიც საშუალებას აძლევთ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები აღზარდონ.

აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე გამოკვეთა, რომ ისინი აღჭურვილი არიან ყველა ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევთ ლექცია სემინარები ჩაატარონ მაღალ დონეზე. ისინი ითვალისწინებენ სტუდენტის და დამსაქმებლის ჩართულობას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. სწორედ ასე მოხდა მცენარეთა დაცვის პროგრამის დამატება. მათ აღნიშნეს, რომ ხელშეწყობა აქვთ ადმინისტრაციისაგან. დოქტორანტთა შეფასებები ხდება სილაბუსში გაწერილი გეგმის მიხედვით. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა. ისინი თვლიან, რომ მეტი მუშაობაა საჭირო ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. დაგეგმილი აქვთ 8 ლექტორი დააფინანსონ უცხოეთში ენის შესწავლის გასაღრმავებლად. აქვთ გაცვლითი პროგრამები პოლონეთთან და ჩეხეთთან. აკადემიური პერსონალი აქვეყნებს შრომებს რეფერირებად და მაღალფაქტორიან ჟურნალებში.

კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე მათ გამოთქვეს კმაყოფილება პროგრამაზე. რომ ისინი დღეს არიან წარმატებული ადამიანები. მათი კვლევის შედეგები დანერგილია წარმოებაში. თვითონ კი დასაქმებულები არიან უნივერსიტეტის - ერთი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, მეორე პედაგოგიურ საქმიანობაში. ორივემ აღნიშნა, რომ ყოველთვის გრძნობდნენ მხარდაჭერას ადმინისტრაციიდან და აკადემიური პერსონალიდან.

დამსაქმებლებთან შეხვედრაზე აღინიშნა მათი დადებითი დამოკიდებულება დოქტორანტთა დასაქმების საკითხზე. მათ თქვეს, რომ დოქტორანტმა, რომელმაც დაფინანსდა ახალი ფორმა შექმნა წარმატებით ვრცელდება რეგიონში. ახალი კვლევები ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდაზე მეტად აქტუალურია და მათი გამოყენება წარმოებაში პერსპექტიულია. დამსაქმებლებმა მზადყოფნა გამოთქვეს დოქტორანტების დასაქმებაზე.

შეხვედრები საინტერესო იყო ხელმძღვანელებთან, ფინანსების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

დავათვალიერეთ აგრონომიული ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ლაბორატორიები და კაბინეტები. დავრწმუნდით, რომ ძალიან დიდი შრომაა ჩადებული ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების, რომ მომზადდეს თანამედროვე ტიპის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან უახლესი ტექნოლოგიების ცოდნაში. შეძლებენ მცენარეთა მოვლა-მოყვანის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ბიოლოგიური თავისებურებების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების და მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით მიიღონ მაღალი და ხარისხიანი პროდუქცია.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს და ორიენტირებულია სახელწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელად. პროგრამა აგრძელებს საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ტრადიციას და ძირითად კვლევები ეძღვნება სუბტროპიკულ კულტურების განვითარებას, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, გამოცემულია რექტორის ნორმატიული აქტი მიღების წესისა და პირობების შესახებ, ცხადდება ღია კარის დღეები და საინფორმაციო შეხვედრები. მიღების

პირობები გამჭირვალეა. პროგრამაზე ყველა მსურველის ცოდნა, უნარები და ღირებულებები ფასდება გამჭირვალედ.

საგანმანათლებლო პროგრამაზე შემუშავებულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დოქტორანტურის განყოფილება პერიოდულად აწვდის საჭირო ინფორმაციას, რაც საშუალობას აძლევს სწორად დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მიიღონ შესაბამისი შედეგი. სტუდენტები პროფილის მიხედვით დროულად ირებენ საჭირო ინფორმაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით - კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო-სამეცნიერო სავსე მეურნეობებით. თვითეული სპეციალობა აღჭურვილია სპეციფიკური ლაბორატორიით და საცდელი ბაზით, რაც უზრუნველყოფს მაღალ სამეცნიერო შედეგებს.

მოქმედებს და ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას ეხმარება მისიის, მიზნების და ამოცანების შესრულებაში. სისტემა უზრუნველყოფს: 1. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; 2. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა ძირითად პრინციპებს და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი.

## **რეკომენდაციები**

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობს კომპეტენტური პიროვნებები, რომლებიც მჭიდრო კავშირში იმყოფებიან დამსაქმებლებთან და რაიმე რჩევებს არ საჭიროებენ. საჭირო ფინანსების შემთხვევაში რა თქმა უნდა თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიები განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

### **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საუკეთესოდ მიგვაჩნია ის დამოკიდებულება რაც აქვთ ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს. საუკეთესოა, რომ სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, მაგ როგორცაა „აწარმოე საქართველოში“; „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“; „დანერგე მომავალი“; „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“; „აგროდაზღვევა“; „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები“ და სხვა. ასევე მათ ყავთ სტუდენტები დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურებში მაგ. ერთი სტუდენტი თხილის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტია, მეორე მუშაობს ჩაის კულტურის რეგენერაციაზე.

### **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ზემოთ აღნიშნული საკითხები ნამდვილად მიუთითებს საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომიის“ მნიშვნელოვან მიღწევებსა და პროგრესსზე. გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტებზე დაშვების პირობები, დამუშავებულია ჯგუფური მუშაობის პრინციპი, შევსებულია კონტიგენტი.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან უახლესი ტექნოლოგიების ცოდნაში. შეძლებენ მცენარეთა მოვლა-მოყვანის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ბიოლოგიური თავისებურებების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების და მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით მიიღონ მაღალი და ხარისხიანი პროდუქცია.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს და ორიენტირებულია სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელად. პროგრამა აგრძელებს საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ტრადიციას და ძირითად კვლევები ემდგვნება სუბტროპიკულ კულტურების განვითარებას, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მიღწევადია.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია; საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია“; აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება; ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება ადმინისტრაციასთან;

#### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

დაცულია ორი სადოქტორო ნაშრომი, რომელთაც აქვთ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა; დაფინის კულტურაზე მიღებულია ახალი ფორმა, რომელზედაც დიდი მოთხოვნაა წარმოებაში, მეორე ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას იყენებენ ფერმერები.

## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o პროგრამა შედგენილია უმაღლესი განათლების კვალფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით და ESTS სისტემით. 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. პროგრამა გრძელდება 3 წელი(6 სემესტრი), მოიცავს 180 კრედიტს, სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი. სასწავლო პროცესი გაწერილია სემესტრების მიხედვით. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. სასწავლო მოდულები შესაბამისობაშია პროგრამის სტანდარტთან.
- o სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია კოგნიტური, ტრანსფერული, ანალიზის და სინთეზის მეთოდები. კვლევაში აქტიურად ჩაბმულია ხელმძღვანელები. კვლევები ხორციელდება აგრონომიული ფაკულტეტის ლაბორატორიებში და სხვა მეთურნეობები. კომისიისასთან გასაუბრებაზე პროგრამის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მათ აქტიურ მონაწილეობაში სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში. სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგები მიღწევადია.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სადოქტორო პროგრამა „აგრონომია“; პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსის სილაბუსები; სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები(უწყისები);

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნას საგანი „აკადემიური წერა“;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                    |
| <p>1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით</p>                                                                                                                                                                                                                                                                  |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>o პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერის შესაბამისად. შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებს შორის არსებული ლოგიკური კავშირით და პრაქტიკული უნარების გამომუშავებით. კომისიასთან გასაუბრებისას სტუდენტებმა გამოამჟღავნეს ლოგიკური აზროვნების უნარი.</p> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <p>o სადოქტორო პროგრამა „აგრონომია“; სილაბუსები; აკადემიური მოსწრების ანალიზის გრაფიკი; ინტერვიუს შედეგები</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>ზოგიერთ სილაბუსში სასურველია თანამედროვე ლიტერატურის დამატება.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

|                                                                                                                                      |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სადოქტორო პროგრამა აგებულია კვლევითი კომპონენტების და სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის შესაბამის კვალიფიკაციას. დოქტორანტები ჩართული არიან სხვადასხვა პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს მათ დასაქმებას. კომისიასთან გასაუბრებისას დავრწმუნდით, რომ დოქტორანტთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ადვილად იკავებენ ადგილს, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ისე წარმოებაში.</li> </ul> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დოქტორანტთა დასაქმების ინფორმაცია; დამსაქმებლებთან შეხვედრა.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა           <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>                                                                                                                                                                   |

|                                                                                                                                                                                                                                           |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება</p> |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში და განვითარებაში აქტიურად ჩაბმულია მონაწილე ყველა მხარე - დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. ჩართულობის მექანიზმი გულისხმობს შეხვედრებს, დისკუსიებს, გამოკითხვას სპეციალურად შემუშავებული კითხვარით. კომისიასთან გასაუბრების დროს დავრწმუნდით ყველა მონაწილე მხარის აქტიურობაში.</li> </ul> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დამსაქმებელთა გამოკითხვის მასალები; კითხვარები;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საუკეთესოაა ორგანიზებული დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობის მექანიზმი. მაგ. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და დოქტორანტი. დოქტორანტი, რომელიც მუშაობს ბოტანიკურ ბაღში, დაამატა საკითხი, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნა შეთავაზებული. ამით ნაშრომი უფრო პრაქტიკულ მიმართულებას იღებს.</li> </ul>            |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                 |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი                                                                           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                         |                                     |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, გამოცემულია რექტორის ნორმატიული აქტი მიღების წესისა და პირობების შესახებ, ცხადდება ღია კარის დღეები და საინფორმაციო შეხვედრები. მიღების პირობები გამჭვირვალეა. პროგრამაზე ყველა მსურველის ცოდნა, უნარები და ღირებულებები ფასდება გამჭვირვალედ. სტუდენტთა შერჩევა ხდება მაგისტრატურის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით შესატყვის სპეციალობაში. აუცილებელია უცხო ენის გარკვეული ცოდნის დონე.</li> </ul> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სადოქტორო პროგრამა „აგრონომია“; დოქტორანტურის დებულება; პროგრამაზე მიღების მარეგულირებელი დოკუმენტები;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
